

# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მასივი

(0აბ0)

1-15

№9 (318)

(5770)

2010

შპს 50 თეთრი

„מנורה“

עיתון יהודי

בגוריה

## დღეს ნობელობა:

### როგორ იქმნებოდა ისრაელის სახელმწიფო

II გვ.

### „ლომები დაიმშვიდნ, უფლის მაძიებლებს კი სიკეთე არ მოაკლდებათ“

მიხეილ მირილაშვილის 50 წლისთავი

III გვ.



### ლოცვის რაობა დიდი რაბინის თვალთახედვით

IV გვ.

### საქართველოს ებრაული თემის ყოველდღიურობა „სოხნუთის“ ულკანის იუბილზე

გყუილი, გყუილი, გყუილი!

V გვ.

### არქიტექტორი პოეტის შესახებ

VI გვ.

### საკვირაო თავი არიელ ლევინის კომენტარებით

### აბრაჰნი სანგანთი გვატყობინებს:

VII გვ.



### ნიუ-იორკის ქართულ ებრაელთა ბეით ქნესეთის ყოველდღიურობა

გაზეთ „დავითის ფარიდან“ გადმოვიღეთ მთელი გვარდი, რათა მართხვალისათვის  
საცნაური გახდეს, თუ როგორ უნდა მუშაობდეს ბეით ქნესეთი.

VIII გვ.

# როგორ იხადებოდა ისრაელის სახელმწიფო

## პარასკევი, 1947 წლის 29 ნოემბერი.

გაისმა ჩაქუჩის დარტყმის ხმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომა განხილვად გამოცხადდა.

- პალესტინის გაყოფის რეზოლუციის პროექტზე კენჭისყრისას თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელს ცალ-ცალკე გამოვიძახებთ სიის მიხედვით. რეზოლუციის მისაღებად საჭიროა ხმების ორი მესამედი. დელეგატები უპასუხებენ: „ხმას ვაძლევთ.“ „წინააღმდეგი ვართ“ ან თავს „ვიკავებთ.“

ვეებერთელა დარბაზში საზეიმო სიჩუმე დაისადგურა.

- ავღანეთი.
- ავღანეთი წინააღმდეგია.

ებრაელებმა დაკარგეს პირველი ხმა. ბარაკმა თავის სიაში მაშინვე აღნიშნა.

- არგენტინა.
- არგენტინის მთავრობა ამჯობინებს თავი შეიკავოს.
- ამ თავის შემკავებლებთან რაღაც უნდა გავაკეთოთ, - წაიჩურჩულა ბარაკმა, - მათ შეუძლიათ ყელი გამოგვჭრან.

- ავსტრალია.  
ყველა შეიშმუნა, როცა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში შემავალი პირველი ქვეყნის წარმომადგენელი ევატი ადგილიდან წამოდგა.

- ავსტრალია გაყოფის მომხრეა, - წარმოთქვა ევატმა.

- ბელგია.
- ბელგია მხარს უჭერს გაყოფას - დარბაზს ჩურჩული მოედო. წინა სხდო-მაზე, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ჩატარდა, ბელგიამ თავი შეიკავა. ეტყობა, უკანასკნელ მომენტში სპაკმა არაფრად ჩააგდო ინგლისელთა ზეწოლა.

- ბოლივია.
- ბოლივია მხარს უჭერს გაყოფას.
- ბრაზილია.
- ბრაზილია გაყოფის მომხრეა.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნები ერთსულოვნებას იჩენდნენ. შემდეგი იყო ქვეყანა, რომლის ხმასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ საბჭოთა კავშირი რაიმე ხრიკს აპირებდა, ეს ერთ წუთში გახდებოდა ცნობილი მთელი მსოფლიოსათვის.

- ბელორუსია.
  - ბელორუსია ხმას აძლევს გაყოფას.
- ებრაელებმა შვებით ამოისუნთქეს. სლავთა ბლოკი მათ მხარეზეა. ეს კარგის მომასწავებელი იყო.
- კანადა.
  - ლასტერ პერსონი წამოდგა და მტკიცედ თქვა:
  - კანადა მხარს უჭერს გაყოფას.
  - ჩილი.

დელეგაციის მეთაური გადამდგარი იყო იმის პროტესტის ნიშნად, რომ პრეზიდენტმა ინსტრუქცია მისცა - თავი შეიკავეთო. მის მაგიერ სხვა დელეგატი წამოდგა.

- ჩილის დელეგაციამ განკარგულება მიიღო თავი შეიკავოს.
- ჩინეთი.
- ჩინეთს, რომელიც აზიაში თავისი ჰეგემონიის დამყარებას ესწრაფოდა, შეეშინდა ინდოეთისა და პაკისტანის მუსულმანების წინააღმდეგ წასვლა.
- ჩინეთი თავს იკავებს.
- ეს ებრაელებისათვის დარტყმა იყო.
- კოსტა-რიკა.

არაბები ცდილობდნენ კოსტა-რიკის დელეგატის მოსყიდვას, შეპირდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რომელიმე მნიშვნელოვან პოსტზე არჩევნებისას ხმას მოეცემოთ. იგი წამოდგა და ეგვიპტის დელეგაციის მხარეს გაიხედა.

- კოსტა-რიკა ხმას აძლევს გაყოფას.
- კაცმა, რომელიც მოსყიდვის ანკესზე არ წამოვიდა, გაიღიმა და დაჯდა.
- კუბა.

- კუბა ხმას აძლევს გაყოფის წინააღმდეგ.

ეს სრულიად მოულოდნელი დარტყმა იყო ებრაელებისათვის.

- ჩეხოსლოვაკია.
- ჩეხოსლოვაკია მხარს უჭერს გაყოფას, - თქვა იან მასარიკმა.
- დანია.
- დანია მხარს უჭერს გაყოფას.
- დომინგოს რესპუბლიკა ხმას აძლევს გაყოფას.

ათიოდე დღის წინათ აღნიშნა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღგზნის 62-ე წლისთავი. ლაიონ ბურისის „აქსოლუსის“ წინამდებარე ნაწყვეტში საუბარია იმასზე, 1947 წლის 29 ნოემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თუ როგორ უჩროდნენ კენჭის პალესტინის გაყოფას ე.ი. პალესტინაში (ორი - ისრაელისა და პალესტინის - სახელმწიფოების) შექმნას.

- ეგვიპტე.
- ეგვიპტე ხმას აძლევს გაყოფის წინააღმდეგ და საერთოდ არ ცნობს მისი კანონიერი უფლებების ამ აღმაშფოთებელ დარღვევას.

გაისმა ჩაქუჩის დარტყმის ხმა და ეგვიპტის მრისხანე აფეთქების შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

- ეკვატორი.
- ეკვატორი მომხრეა.
- ეთიოპია.
- ეთიოპია თავს იკავებს.

ამან აფეთქებასავით იმოქმედა. ყველა არაბმა დელეგატმა რისხვით და გაოცებით მიაბრუნა თავი ეთიოპიელისაკენ. სირიელმა გაბრაზებით მოუღერა მუშტი.

- საფრანგეთი.
- მაიწია ოთხი სახელმწიფოდან პირველის რიგში.

პაროდი ნელა წამოდგა ფეხზე. თუ საფრანგეთმა თავი შეიკავა, ამან შეიძლება საბედისწერო შედეგი მოუტანოს ებრაელებს. ნუთუ, ლეონ ბლუმისა და ფრანგი ხალხის ცდები ჩაიფუშა?

- საფრანგეთის რესპუბლიკა ხმას აძლევს გაყოფას, - თქვა პარილიმ კილოთი, რომელშიც დაუფარავი კმაყოფილება გამოსჭვიოდა.

დარბაზი მძაფრმა ჩურჩულმა მოიცვა. პირველად ახლა მიხვდნენ დელეგატები, რომ სასწაული, მართლაც შეიძლება მოხდეს.

- გვატემალა.
- წამოდგა გრანდოსი - გაყოფის მქადაგებელი.
- მომხრეა, - თქვა მან.
- საბერძნეთი.
- საბერძნეთი ხმას ძლევს გაყოფის წინააღმდეგ.
- ჰაიტი.

ჰაიტის დელეგაცია, რომლის ხმასაც უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგერ უკვე ორი დღეა სათანადო ინსტრუქციის გარეშე იჯდა.

- ჰაიტის დელეგაციამ ეს-ეს არის მიიღო თავისი მთავრობის მითითება ხმა მისცეს გაყოფას.
- ჰონდურასი.
- ჰონდურასი ამჯობინებს თავი შეიკავოს.
- ისლანდია.
- ისლანდია ხმას აძლევს გაყოფას.

მსოფლიოს ყველაზე ძველმა რესპუბლიკამ ახლა ხელი შეუწყო ყველაზე ახალგაზრდა რესპუბლიკის შექმნას.

- ინდოეთი.
- ინდოეთი ხმას აძლევს გაყოფას.
- ირანი.
- ირანი ხმას აძლევს გაყოფის წინააღმდეგ.
- ერაყი.

- ერაყი ხმას აძლევს წინააღმდეგ და არასოდეს არ სცნობს ებრაელებს. ამ დღემ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ საშინელი სისხლისღვრა. ჩვენ ხმას ვაძლევთ წინააღმდეგ.

- ლიბანი.
- ლიბანი ხმას აძლევს გაყოფის წინააღმდეგ, - თქვა მალიქმა.
- როგორია შედეგი? - ჩუმად ჰკითხა ვაიცმანმა ბარაკს.

- თხუთმეტი მომხრეა, რვა წინააღმდეგი, შვიდმა თავი შეიკავა.

ეს არც თუ ძალიან დამამედებელი შედეგი იყო.. ებრაელებს ერთი ხმა აკლდათ საჭირო ორ მესამედს. ხოლო თავშეკავებულთა რიცხვი მატულობდა.

- ჰა, რას იტყვი ბარაკ?
- ლათინური ამერიკიდან კიდევ სამი ქვეყანა დგას რიგში. მერე შეეტიკობთ.
- ჩემი აზრით, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, წინ უნდა წავიწვიოთ. თითქმის ნახევარმა მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში, გარკვეული კი ჯერ არაფერია, - თქვა ვაიცმანმა.
- ლიბერია.
- ლიბერია ხმას აძლევს გაყოფას.
- ლუქსემბურგი.

კიდევ ერთი პატარა ქვეყანა ბრიტანეთის გავლენის სფეროდან.

- ლუქსემბურგი ხმას აძლევს გაყოფას. ინგლისის დაწოლას კვლავ დარტყმა მიაღება. იშუეს ახლა ორ მესამედზე ერთი ხმით მეტი ჰქონდა.

- მექსიკა.
- მექსიკა თავს იკავებს.
- მთელი იშუვი უსიამოვნოდ შეიშმუნა.
- ნიდერლანდი.
- ნიდერლანდი ხმას აძლევს გაყოფას.
- ახალი ზელანდია.
- ახალი ზელანდია მომხრეა.
- ნიკარაგუა. . . მომხრეა.
- ნორვეგია. . . მომხრეა.

- პაკისტანი ხმას აძლევს გაყოფის წინააღმდეგ. მომდევნო ხმები გადამწყვეტი იყო.

- პანამა.
- პანამის რესპუბლიკა მხარს უჭერს გაყოფას.
- პარაგვაი.
- პარაგვაიმ ეს-ეს არის მიიღო მითითება თავი არ შეიკავოს... უფრო სწორად, ხმა მისცეს გაყოფას.
- პერუ.
- პერუ მხარს უჭერს გაყოფას.
- ფილიპინი.

მთელმა მსოფლიომ სუნთქვა შეიკრა. რომელი გამოწვეული იყო ნიუ-იორკიდან. მისი მოადგილე წამოდგა.

- ფილიპინი ხმას აძლევს გაყოფას.
- დარბაზს კვლავ ჩურჩულმა გადაუარა. ებრაელთა დელეგაციის წევრები გაოგნებული შეჭყურებდნენ ერთმანეთს.
- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა ბარაკმა. - მგონია გავედით.
- პოლონეთი.
- პოლონეთი მხარს უჭერს გაყოფას.

ებრაელები ახლა ტაშს აძლიერებდნენ. პოლონეთმა ერთგვარად გადაიხადა ებრაელთა საუკუნოვანი დევნის საზღაური.

- სიამის წარმომადგენელი არ ესწრებოდა.
- საუდის არაბეთი.
- თეთრ ტანისამოსში გახვეულმა არაბმა გამყინავი და სიძულელით აღსავსე ხმით გამოთქვა წინააღმდეგობა.
- შვეცია.
- შვეცია გაყოფის მომხრეა.

დადგა უკანასკნელი რაუნდი. არაბები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

- სირია წინააღმდეგია.
- თურქეთი ხმას აძლევს გაყოფის წინააღმდეგ.
- ბარაკმა სწრაფად შეაჯამა კენჭისყრის შედეგები. არაბებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ერთგვარი შანსი. მათ თორმეტი ხმა ჰქონდათ და კიდევ ერთი ნაღდი წინ იყო. ახლა რომ რაიმე გაუთვალისწინებელი ცვლილება მოხდეს, ყველაფერი ფუჭად ჩაივლის.
- უკრაინა.
- მომხრეა.
- სამხრეთ აფრიკის კავშირი.
- მომხრეა.

- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მხარს უჭერს გაყოფას.

- დიდი ბრიტანეთი.
- მთელი დარბაზი გაიტრუნა. ბრიტანეთის დელეგატი წამოდგა და სახეგაფერმკრთალებულმა მიმოიხედა ირგვლივ. ამ საბედისწერო ფაშს ის ეუღლად იდგა.

თანამეგობრობის ქვეყნებმა მიატოვეს, საფრანგეთმაც. შეერთებულმა შტატებმაც კი მიატოვა.

- მისი უდიდებულესობის მთავრობა ამჯობინებს თავი შეიკავოს, - ჩაზღვნილი ხმით თქვა ინგლისელმა.
- ამერიკის შეერთებული შტატები.
- ამერიკის შეერთებული შტატები ხმას აძლევს გაყოფას.

ყველაფერი დამთავრდა. კორეისოვნებები ტელეფონებს ეცნენ, რათა მთელი მსოფლიოსათვის ემცნოთ კენჭისყრის შედეგები. იქმნა არაბებს მისცა მეცამეტე ხმა. ოუგოსლავიამ ანგარიში გაუწია თავის რიცხვმრავალ მუსულმან მოსახლეობას და თავი შეიკავა.

ურუგვაის წარმომადგენელმა პროფესორმა ფაბრეგატმა და ვენესუელის დელეგატმა გაყოფის რეზოლუციას მისცეს 32-ე და 33-ე ხმა.

თელ-ავივიმ ზეიმი დაიწყო.

# „ლომები დაიმუშვიან, უფლის მაძიებლებს კი სიკეთე არ მოაკლდებათ“

ფსალმუნი, 34.11

დღეს მიხეილ (მიხო) მირილაშვილი 50 წლისაა. ამ აღამიანს ძალიან დიდი ბიოგრაფია აქვს. 50 წლის კაცისთვის ბევრი საქმე უკეთესია. თითქმის დაუჯერებელია ის, რაც მასზე ბაბვიბია ნაცნობ-მეგობრებს, შორეულ, თუ ახლო ნათესავებს. დაუჯერებელ შთაბეჭდილებას სტოვებს ის, რაც მასზე წერია ამათუიმი საიტზე – ამ ასაკის აღამიანები ამდენს ვერ ასწავნიან, ვერ ახერხებენ. დაუჯერებელია, მაგრამ რეალურადაა რეალურად რჩება, ყველაფერი ეს ფაქტია.

და ამ ფაქტებს მიღმა იკითხება უზარმაზარი ნებისყოფა და ანალიზის უნარი.

იგი დიდი ანალიტიკოსია. ეს უნარი არა მხოლოდ მისთვის, მისი ქმისათვისაც შეიმჩნევა – ცინცხალი აზროვნება, მყისიერი ანალიზი მოვლენისა, ფაქტებისა, ციფრებისა.

ამიტომ მიხო მირილაშვილის ფენოქიმი დაუძრავია, ანალიზის მოთხოვნა. წინამდებარე საიტზელი მისი საამისო პრეტენზია, ცხადია, ვერ მძნება, მაგრამ ზოგადი კონტრპუნქტის მოხაზვას, თუნდაც აშნტირების სახით, კი შევძლებთ.



ერთხელ ეღუარდ შევარდნაძემ ბადრი პატარკაციშვილთან დაკავშირებით თქვა: დღეს ფული ბევრმა იშვნა, მათს შორის ყველა როდია გონიერი, ბადრი ჭკვიანი კაცი იყო. თუ ამ თეზის გაგვებით და ალბათ, უნდა გავფიქრობოთ, სხვა თეზისთან მივალთ: ხომ უზარმაზარი ძალისხმევა, ნიჭი სჭირდება ეკონომიკური სიმდიდრის დაგროვებას, შენარჩუნებას, უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, თუ როგორ იყენებ იმას, რისი შივნის ნიჭიც (ზოგჯერ იღბალი, ზოგჯერაც შემთხვევა!) უფალმა მოგანიჭა – რა გზას, დანიშნულებას ანიჭებ განმს, რომელსაც ფლობ. რადგან საბოლოო ჯამში განძი ის კი არ არის, რაც შეგინახავს, არამედ ის, რაც ადამიანების სულის საოხად გამოიყენება.

გენიალური შ. რუსთაველის ფორმულირება კი ასეთია: „რასაც გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“ ასე რომ, პიროვნების რაობა შედეგში უფრო ჩანს, ვიდრე პროცესში.

განვმარტოთ ამ პროცესისა და შედეგის რაობა: პროცესის განმაპირობებელი შესაძლოა, ნიჭისა და დიდი ძალისხმევის გარდა, სხვადასხვა გარემოებაც გახდეს: სახელმწიფოში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია, შემთხვევითობა, ისტორიული მომენტი ე.ი. საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩენა, მაგანია ზედპირობობა და სხვ. ზემოთ ერთობ დაკვირვებულმა და გამოცდილმა სახელმწიფო მოღვაწემ ისიც კი გვითხრა შესაძლოა, უჭკუო კაცმაც კი იშოვოსო ფული.

შედეგი? შედეგს ერთადერთი რამ განაპირობებს: მხოლოდ პიროვნების ნება. ეს ნება კი პიროვნების ლეითორიაში, განათლების დონეში, პატრიოტულ სულისკვეთებაში იღებს სათავეს. მხოლოდ განძის მფლობელ პიროვნებას ძალუქს განსაზღვროს, რა მიმართულებას მისცემს თავის განძს. როდესაც ლორდი მონტეპიორე თავის განძს იმისთვის იყენებდა, რომ ებრაელი მოხუცების, ჯანმრთელობაშერყეული ადამიანებისათვის საავადმყოფოებს ქმნიდა, ეს მისი კრედიტის გახლდათ და იცოდა რისთვის იყენებდა განძს, როდესაც ევროპის, რუსეთის მდიდარი ებრაელები ახალგაზრდების განათლებაში აკეთებდა ინვესტიციას, მეცნიერებს, მწერლებს, მხანობებს უნიშნავდა სტიპენდიებს, ებრაელი ერის მომავალზე ზრუნავდა. რომ არ ყოფილიყო ეს ინვესტიცია – მეცნიერებაზე, ხელოვნების მოღვაწეებზე ზრუნვა, საეჭვოა იქნებოდა თუ არა პასკალი – ებრაელი საგანმანათლებლო მოძრაობა, და რომ არ ყოფილიყო პასკალი, იქნებოდა კი მეოცე საუკუნის დიდი ებრაული კოპორტა მეცნიერებისა, ხელოვნებისა, იქნებოდა კი თეოდორ ჰერცლი, სიონიზმი და ბოლოს – აღსდგებოდა ისრაელის სახელმწიფოებრიობა?

მათ იცოდნენ, რა მიმართულება მიეცათ თავიანთი განძისათვის. მათ რომ ეს არ სცოდნოდათ, ალბათ, თანამედროვე ებრაელობა ვერ იქნებოდა ისეთი სახენათელი, როგორც დღეს არის.

ასე, რომ თავიდათვი მაინც არის ის, თუ რა გზას ირჩევს ადამიანი. იუდაიზმი კი არჩევანის დიდ უფლებას სწორედ პიროვნებას ანიჭებს. იოსებ ბროდსკი ცდებოდა, როცა ამბობდა იუდაისტური ღმერთი მოძალადეაო, იუდაიზმი ერთობ ლიბერალური რელიგიაა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვნად პიროვნების არჩევანს მიიჩნევს.

მიხო მირილაშვილი გამორჩეული პიროვნება სწორედ იმით გახდა, რომ თავიდანვე განსაზღვრა, ის თუ რა გზა მისცეს, რისთვის და როგორ გამოიყენოს ის, რისი მფლობელიც, განკარგვის უფლების მატარებელიც გახდა.

ამ ესეში ვერ ჩამოვთვლი, მიხო მირილაშვილის მიერ არჩეულ გზას თუ როგორ დაუამბია შეჭირვებულთა ტკივილები – რამდენიც არ უნდა ჩამოვთვალო, აღუვსებელი საწყაული არ აღივსება, საბოლოო ჯამში, ცოტა გამოვა იმასთან შედარებით, რაც ადამიანმა უნდა გააკეთოს ადა-

მიანისათვის. ამ შემთხვევაში მთავარია არა რაოდენობა, არამედ პიროვნების არჩევანი, ის, თუ როგორ გზას აძლევს იგი იმას, რისი ფლობის უნარიც ზენარმა მიანიჭა. იმას კი ვიტყვით, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიხო მირილაშვილი გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც რუსეთის ბიზნესმენებს, როგორც ებრაელ, ისე არაებრაელთ, მისცა მაგალითი, თუ როგორ უნდა იყოს მათი დამოკიდებულება იმათადმი, ვინც შემწეობას საჭიროებს.

მიხო მირილაშვილი პოსტსაბჭოთა სივრცეში, ებრაული ცხოვრების აღორძინების მეთაურია.

მცირე მცოდნეობა:

2000 წლის დასასრულს მიხო მირილაშვილმა სანკტ-პეტერბურგში ხანუქის დღესასწაულზე მიგვიწვია საქართველოში, ისრაელში მცხოვრები რამდენიმე ქართველი ებრაელი. სწორედ იმ დღეებში შეიქმნა „სანკტ-პეტერბურგის მანიფესტი“, რომელმაც საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნას დაუდო სათავე (მოგვიანებით მიხოს ამ იდეის განხორციელების საშუალება წაერთვა, მაგრამ მისმა მამამ და მამ ბრწყინვალედ დააგვირგვინეს ეს წაძოწვება.) ხანუქის საღამო უზარმაზარ დარბაზში – „ოქტაბრსკაია“ გაიმართა. ის, რაც საღამოს დასასრულს ვნახე, არასოდეს დამავიწყდება – ეს გახლავთ წარუშლელი შთაბეჭდილება. საღამო რომ დამთავრდა და ხალხმა გასახდელს მიაშურა, პირველ სართულზე მაგიდებზე (უამრავ მაგიდაზე!) სახანუქე მანდლები ელაგა. ადამიანებს იწვევდნენ მაგიდასთან, იქვე იდგნენ თაღმდ ხანუქის და პეტერბურგელებს ხანუქის კურთხევაში ემზადებოდნენ: კარნახობდნენ ბერაზის ტექსტს, ანთებინებდნენ სანთლებს და მე ვხედავდი, ადამიანებს როგორ ეუფლებოდნენ სიმშვიდე, სისარული იმის გამო, რომ სიცოცხლეში პირველად ეზიარნენ მშობლიურს, იმას, რისთვისაც უფალმა ქვეყნად მოიყვანა. ჩემთვის, ადამიანისათვის, რომლისთვისაც სახანუქე სანთლების კურთხევა, ერთი ჩვეულებრივი, ყოველწლიური რიტუალი იყო, აღმოჩენად იქცა ის, თუ რაოდენი ბედნიერება შეიძლება მოგანიჭოს ამ ჩვეულებრივის, ყოველწლიურის პირველად შესრულებამ, იმის შეგრძნებამ რომ ტრადიცია შენც გაავლებს რაღაცას.

მე იმ დამეს ვნახე ათასობით, ვიმეორებ ათასობით, ადამიანი, რომელმაც გადავხე ნაბიჯი წინ. ხანუქის სასწაულებრივი ძალა ამაშიც დავინახე და შემშურდა ადამიანისა, რომელსაც ძალუქს ადამიანები მშობლიურ ძირებთან მიყვანით ბედნიერჰყოს. ადამიანების ბედნიერყოფაზე უმაღლესი ჯილდო კი არ არსებობს.

ჩემთვის ეს იყო მიხოს სულიერი რაობის დასტური. ამაში ცხრა წლის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: როდესაც იგი შორეული გზებიდან დაბრუნდა, როდესაც მასზე ფიქრით და დარდით გაწამებულ მუუღლეს, შვილებს, დედამას, მძას დაუბრუნდა, დაუბრუნდა, დაბრუნდა მიულოცე და გულისტკივილი გამოვსატე ასეთი მძიმე განსაცდელის გამო, მისმა პასუხმა გამოცა:

– არა, ბატონო გურამ, მე მადლობელი ვარ ღმერთის, დავბრუნდი ძლიერი, სავსე, არაფერს არ ვნანობ.

მოგვიანებით კი ერთ-ერთ საიტზე ამოვიკითხე: პატიმრობის რვა წლის განმავლობაში არაქაშერი საჭმელი ერთხელაც არ უჭამიაო.

და მე საბოლოოდ ჩამომიყალიბდა აზრი ამ ადამიანზე: მისი ღირსება ფინანსური ძლიერება კი არ არის, არამედ

ის, რომ შესწევს უნარი არჩევანის ერთგულებისა. შესწევს უნარი მართოს შინაგანი, თუ გარემომცველი პროცესები. აქედან გამომდინარე, აღარც არის გასაკვირი და გასაოცარი ის, რომ თავის ფინანსურ ძალას იგი სწორ ნაკადში აქცევს. ყველაფერი სათავიდან მოდისო, უთქვამთ ბრძენთ.

მიხო მირილაშვილის პიროვნული რაობაც მის წინა თაობებში იღებს სათავეს. დღეს არ არის დრო და ადგილი მის წინა თაობებზე საუბრისა, მაგრამ ერთი ფრაზით კი შეიძლება ასე ითქვას: თუ პიროვნების რაობა დროსთან მიმართებაში იკითხება, მისი წინა თაობებიც ისევე იყვნენ არჩევანის მიმდევარნი და მტკიცედ დამცველნი, როგორც დღევანდელი მიხო მირილაშვილია.

ათასი შეხვედრა მქონია მიმოკო მირილაშვილთან, სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა სიტუაციაში, კონგრესის შექმნამდე და მას შემდეგაც, მაგრამ ჩემს მესიერებას ყველაზე მკაფიოდ, ცოცხლად ერთი სურათი შემორჩა: მიმოკო მირილაშვილი კითხულობს თეილიმს. ეს განსაკუთრებული სურათია, განსაკუთრებული იმიტომ, რომ თეილიმის კითხვა ე.ი. უზენაესი კატეგორიებისაკენ სწრაფვა – არჩევანის ერთგულება მისი პიროვნული არსის გამოხატულება იყო. რასაკვირველია, არსებობდა სხვა მიმოკო მირილაშვილიც: პრეზიდენტი, მეგობრულ წრეში მომლხნი, ბიზნესმენი, მაგრამ მისი პიროვნული რაობის გამოხატულებად მე ეს სურათი – უზენაესი კატეგორიებისაკენ სწრაფვა – არჩევანის ერთგულება დამამახსოვრდა.

ამ არჩევანის ერთგულებამ შექმნა მიხო მირილაშვილის ფენომენი, ამ პიროვნებაში მთავარი ეს არის და არა ის, რომ იგი მრავალი მილიონის მფლობელია, არც ის, რომ ლიდერია. ყველაფრის სათავე არჩევანის ერთგულებაა.

და კიდევ ერთი, რაც ისევე არჩევანის ერთგულებაში იღებს სათავეს:

ამ სამიღვე წლის წინათ ისრაელის ქნესეთში. ერთ საკმაოდ ღირსეული ბიოგრაფიის პიროვნებას შევეკამათე. შევეკამათე იმისათვის, რომ დამეცვა ქართველ ებრაელთა ისტორია. გამოსვლის შემდეგ აღ. მაშკევიჩმა – დიდებულმა პიროვნებამ და მოღვაწემ – გამოსვლა შემიქო და მითხრა: – იცი თუ არა, რომ მიხო მირილაშვილი, როგორც პიროვნება, არავისთან ვალში არ არის. ამიტომ გვიყვარს იგი.

დაახ, იგი არავისთან ვალში არ გახლავთ, ყველაზე, ყველა სფეროში კაცურად გარჯილა. ამიტომ 2001 წელს მსოფლიოს ებრაული კონგრესის ყრილობაზე პუტინისგან თავდახსნილმა გუსინსკიმ პრე-კონფერენცია რომ გამართა და თავის ცხოვრებაზე ისაუბრა, წამოვდექი და გალიზიანებულმა დავუსვი ასეთი შეკითხვა:

– თქვენ ხართ რუსეთის ებრაული კონგრესის პრეზიდენტი, მიხეილ მიხეილისძე მირილაშვილი ვიცე-პრეზიდენტი. თქვენ საზოგადოებრიობის დიდი მხარდაჭერით დღეს სამშვიდობოს ხართ, მირილაშვილს კი უჭირს – რას აკეთებთ იმისთვის, რომ თქვენს მოადგილეს მდგომარეობა შეუმსუბუქოთ?

რადაც ილაპარაკა, მაგრამ პასუხი ვერ გამცა. იმიტომ, რომ თითქმის არაფერი უკეთებია.

აი, ამიტომ ამბობენ, რომ მიხო მირილაშვილი არავისგან არ გახლავთ დავალებული.

გურამ ბათიაშვილი

# დოსვა

## ადინ შტეინზალცი



მაგალითად, — და ეს მაგალითი პრობლემის არსთანაა დაკავშირებული, — ყოველ ადამიანს აქვს ჭკამის მოთხოვნილება. ის, ვისაც არ უჭამია, ადრე თუ გვიან შიმშილს იგრძნობს და მიმართავს საკვებს. ამასთან ერთად, — და ეს ცხადია, — ასეთი ბუნებრივი მოთხოვნილებაც კი მოწვევით უნდა იყოს, და მასთან ადამიანი უკვე შეჭამს არა იმიტომ, რომ მოშივდა, არამედ იმიტომ, რომ დადგა საკვების მიღების ჩვეული დრო. ზუსტად ასევე განიცდის თითოეული ლოცვის, გულთ მსახურების შინაგან მოთხოვნილებას, მაგრამ იგი ყოველთვის არ თანხვდება ლოცვის საათებსა და მის რიტუალს.

ასეთი შეუთავსებლობა მრავალ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემას წარმოქმნის: შეუძლია თუ არა ადამიანს მხოლოდ მამინ ილოცოს, როდესაც იგი მზადაა ამისათვის, როდესაც ის შესაბამის სულიერ მდგომარეობაში იმყოფება, როდესაც იგი თავისუფალია ყოველდღიური ამოცანებისა და არ არის დაკავებული თორის რთული საკითხების გადაჭრით? შეიძლება თუ არა ლოცვა, რომლის დროსაც ადამიანმა ვერ შეძლო წერადლების სათანადოდ მოკრება, შემდგარად ჩაითვალოს? იქნებ საქმე სულაც არ ეხება შინაგან შეგრძნებებს, არამედ გარეგულ მზაობას, — შეუძლია თუ არა ადამიანს მამინ ილოცოს, როდესაც არ არის ამისათვის მზად, სხვა საქმიანობა გატაცებული, მაგრამ ძალა შესწევს, რომ მოიყვანოს თავი შესაბამის მდგომარეობაში, დაიცხროს გრძნობები და წარმოადგინოს, რომ მეფის წინაშე დგას და ლაპარაკობს? და საერთოდ, შესაძლებელია კი დღეს ნამდვილი ლოცვა და ჭეშმარიტი გულისყურის მოკრება იმ ჩარჩოებს გარეთ, რაც ბრძენების მიერაა დაწესებული?

ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხები არ არსებობს. არსებობს პრაქტიკული, კანონმდებლობითი გადაწყვეტილებები, რომელიც დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ჩვენს დღეებში ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის, თუ როგორ მოიკრიბოს გულისყური ლოცვის დროს. თანამედროვე ამისა, ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს ლოცვის რიტუალით, რომელიც ითვალისწინებს ყველასთვის ერთსა და იმავე ტექსტებსა და დადგენილ საათებს, და ლოცვა საჭიროა მამინაც კი, როდესაც მისთვის სრული მზადყოფნის შეგრძნება არ არსებობს. ამასთანავე, ეს დაწესებული ლოცვა არ აუქმებს გულისყურის მოკრების აუცილებლობას და მოვალეობას, და არ ათავისუფლებს ადამიანს მცნებისაგან „ემსახუროს მას მთელი თავისი გულით“.

ზევით დასმულ შეკითხვებზე პასუხების შესაძლებელი ვარიანტები გულისხმობენ, რომ იდეალში სწავლული ბრძენების მიერ შედგენილი ლოცვის ტექსტს მთლიანად შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის გულის ყველა სიღრმისეული მისწრაფება. ასეთი ლოცვა — შინაგანი და გარეგანი გრძნობებისა და წარმოქმნილი სიტყვების სრული ჰარმონიაა. ანუ, ადამიანს შეუძლია ყველაფერი იპოვოს ამ ტექსტში, ხოლო გარეგანი ფორმები სრულად შეესაბამებიან მის სულისკვეთებას.

რამი ხანინა ბენ დოსას შესახებ გვიამბობენ, რომ მან, ავადმყოფებისათვის ლოცვის დროს, იცოდა, გამოჯანმრთელებოდა იგი, თუ მოკვდებოდა. და როდესაც ერთხელ ჰკითხეს, თუ საიდან იყო ეს მისთვის ცნობილი, რ. ხანინამ უპასუხა: „თუ ლოცვა ადვილად სწავდება ჩემს ბავშვებს, მე ვიცი, რომ იგი მიღებულია“. სხვა სიტყვებით, როდესაც იგი გრძნობდა, რომ მისი სული იღვრებოდა ლოცვაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხვდებოდა, რომ მისი თხოვნა მიღებული იყო და ავადმყოფი იცოცხლებოდა. და პირიქით — როდესაც გრძნობდა, რომ ლოცვა ძნელად აღევიწინებოდა, მისთვის ცხადი ხდებოდა: იგი არ იყო მიღებული. ასეთმა ლოცვამ ყველაზე სრული გამოხატულება რ. ხინას და მისი ვაჟების მსახურებაში ჰპოვა: როდესაც ისინი წარმოთქვამდნენ: „... ქარის გამოგზავნო...“, — ქარი ამოვარდებოდა; როდესაც ისინი ამბობდნენ: „... წვიმის მომხდელი...“, — წვიმა მოდიოდა. როდესაც იტყვოდნენ: „... უბრუნებ მიცვალებულებს სიცოცხლეს...“, — მთელი სამყარო თრთოდა.

ასეთი სახის მსახურებაში წარმოთქმულსა და იმ რეალობას შორის, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, სიღრმისეული კავშირი არსებობს. ამიტომ სიტყვების — „ქარის გამოგზავნო“ კვლადაკვალ ქარი ამოვარდებოდა, სიტყვების — „დმ-თი წმინდა“ — კვლადაკვალ სამყარო იკურთხება, ხოლო სიტყვების — „ავადმყოფთა მკურნალო“ — კვლადაკვალ იკურნებიან გამორჩეულები. როდესაც ადამიანი ასეთნაირად ლოცულობს, მას არ სჭირდება

მოცემულ ჩარჩოებზე მორგება, რამეთუ ისინი უკვე აღარ არსებობენ; არამედ, აღიძვრება მლოცველის სულის, წარმოთქმული სიტყვებისა და ობიექტური რეალობის სრული ერთიანობა. ეს უკვე აღარაა მსახურება, თუ მის ქვეშ იმს ვიგულისხმებთ, რომ ადამიანი გარკვეულ ძალისხმევას ახმარს თავის სულში ან გარემოცველ სამყაროში ცვლილებების გამოწვევას. არსებობდა, იგი მხოლოდ უერთდება ლოცვას, რომელიც მის გარემოცველ რეალობაში სპონტანურად მიმდინარეობს და სიტყვებითაა შემოსილი. მართლაც და, ყოველ ჩვენგანს წამოგვიძახია, თუ ისეთი რამ გავგვივია, რაც ახლოსაა გულთან: სწორედ ეს მინდოდა მთქმა! იგივეს გრძნობს ადამიანიც, რომელიც ამგვარად ლოცულობს: ლოცვანში ხომ სწორედ ის წერია, რისი გამოხატულებაც მე მინდოდა! და იგი ლოცვასთან ერთად მიმართავს ჰიმიდან ჰიმიანდე, კურთხევად კურთხევად, სასახლიდან სასახლემდე, სამყაროდან სამყარომდე, დაბაიჯებს მასთან ერთად, და როგორც მოგზაური, ერთი გეოგრაფიული სარტყელიდან მეორეში გადადის; აღის მორიას მთაზე აბრაამთან და იცხატთან ერთად; ესწრება ტაძარში მსხვერპლთშეწირვას; მალდდება ზეციურ სიმაღლეებში, რათა მათთან ერთად განადიდოს ღმ-თი; დგას იამ სუფის ნაბიჯზე და მოშუთან ერთად ხოტბას ასხამს უზუნაესს; უერთდება ანგელოსებს, რომლებიც გამჩენის სიწმინდეს იუწყებიან, და ოფანშიმებთან ერთად ხმაურით მიფრინავს სერაფიმებთან შესახვედრად; აღწევს ერთიანობას ღმ-თან, წარმოთქვამს რა: „უფალი, ჩვენი ღმ-თი, არს უფალი ერთიანი!“ თავის სულს ატანს სიტყვებში: „გვიყვარდეს ღმ-თი“ და სრულ თვითაღკვეთას აღწევს მის წინაშე შიშნე-სრეს ლოცვის დროს. სწორედ ასეთი უნდა იყოს ლოცვა, როდესაც იგი შერწყმულია იმასთან, ვინც მას წარმოთქვამს, როდესაც წაშლილია განსხვავება შინაგან განცდასა და გარეგულ გამოვლინებას შორის. ასეთი სახის ერთიანობა შეიძლება დავინახოთ, თუ დავაკვირდებით მუსიკის ჰანგებზე მოცეკვავეებს. ხდება ისე, რომ ცეკვა და მუსიკა ერთმანეთს ერწყმინან: მუსიკა ცეკვად იქცევა, ხოლო ცეკვა მელიოდამი გარდაიქმნება, მათი დაყოფა შეუძლებელი ხდება და შეუძლებელია ითქვას, მუსიკა უსწრებდა წინ ცეკვას, თუ ცეკვა მუსიკას.

ამ იდეის დასამტკიცებლად შეიძლება განვიხილოთ ლოცვა ნიშნით-კოლ ხაი („ყოველი ცოცხალი სული“), რომელიც შაბათობით და დღესასწაულებზე წარმოითქმება. მასში, ერთი შეხედვით, შინაგანი წინააღმდეგობაა. დასაწყისში ნათქვამია: „... ჩვენი პირი საგალობლებით რომ იყოს სავსე, ვითარცა ზღვა, და ჩვენი ხნის მღერა ისმოვეს, ვით მის ტალღათა ბუბუნნი, ჩვენს ბავთა ხოტბა, ვით სიერცე ცის კაბადონისა, ჩვენი თვალები რომ მცხუნვარებდნენ, ვით შზე და მოვარე, ჩვენი ხელნი თუ განიერცობა, ვითარცა ორბნი ცისანნი, ჩვენი ფეხნი, რომ გარდაიქნენ უმსუბუქესად, ფურჩხისებო, — მაინც, უფალო, ღმ-თი ჩვენო, ვერ შეიძლებოდა შენდამი სამადლობელის აღვლენას...“

ანუ შენი გულმოსყალება იმდენად დიდია, ხოლო საქმეები ისეთი საოცარი, რომ ჩვენ არ ძალგვიძის ქება შეგასხათ და განგადიდოთ ისე, როგორც შენ ამას იმსახურებ. სიტყვები, რომელთა წარმოთქმა ჩვენ შეგვიძლია, არ არის საქმარისი, ამიტომ ჩვენთვის უკეთესია, ჩუმად ვიყოთ. ხოლო შემდეგ ნათქვამია:

... ამიტომ სახსარნი, რომელნიც ჩვენ გვიწილებედ, სუნთქვა და სული, ჩვენს ნესტობებს რომ შთაბერე, ენა, ჩვენს პირს რომ დაუღვინებ, — აჰა, ისინი ვიმადლიან და გაკურთხებენ, გიძღვნიან ხოტბას და შეგამკობენ, უგალობებენ მარად შენს სახელს, მუე-ფვე ჩვენო...“

როდესაც ადამიანი ცდილობს ხოტბის შესხმას ბავშვებით და განდევნას ენით, მისი ნებისმიერი ძალისხმევა არასაკმარისია; მაგრამ თუ ბავშვები თვითონ გალობენ და ენა თავისთავად ასხამს ხოტბას, როდესაც ებრაელი უეცრად ამჩნევს, რომ ქედი მოიდრეკა ღმ-თის წინაშე, როდესაც დადგა ქედის მოდრეკის დრო, — მაშინ მას შეუძლია ხოტბა შეასხას, მაღლიერება გამოხატოს და განადიდოს. ამ მომენტში ადამიანი და ლოცვა უკვე აღარ არსებობენ ცალ-ცალკე, ისინი შერწყმული არიან ერთმანეთთან: ლოცვა თითქოსდა თავისთავად იქმნება, მეტყველება ნარნარად მოედინება და ადვილად ყალიბდება იმ სიტყვებისაგან, რომლებიც თავისთავად წყვებიან ბავშვებს, ამომღერებენ რა მათ სიღრმისეულ აზრს.

იერუსალიმის თაღმუდში მეფე დავიდის არფის შესახებ ნათქვამია, რომ როგორც კი შუალამე დგებოდა, იგი თავისით იწყებდა სიმღერას. ეს ნათქვამია იმ ადგილას, სადაც განიმარტება სტრიქონი „მეფეთა წინიდან“... და იყო ასე: როდესაც უკრავდა შემსრულებელი, მასზე ღმ-თის ხელი იყო“. განმარტების თანახმად, აქ „შემსრულებელი“ არის არა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკრეული ადამიანი, არამედ სწორედ ინსტრუმენტი, რომელიც თვითონ გამოსცემდა ხმას. და ამ სტრიქონში განდიდებულია არა არფა, არამედ ადამიანი, რომელიც გახდა სრულყოფილი ინსტრუმენტი — მუსიკალური, წინასწარმეტყველური, მლოცველი. ის, ვინც ლოცვის უმაღლეს საფეხურს მიაღწია, დავიდის არფას ემგავსება, რომელიც თავისთავად გამოსცემდა ხმას, რამეთუ ეს მუსიკა — მისი მუსიკაა, ხოლო მთელი მისი არება — მხოლოდ ინსტრუმენტია ლოცვის გადმოსაცემად.

ისეთი ლოცვა, როდესაც ადამიანი არა მხოლოდ შეერწყმის მის რაობას — სიწმინდეს, არამედ თვითონაც მისი განსახიერება იმ სამყაროში, სადაც ცხოვრობს — იდეალია. ასეთი ლოც-

ვა თითქმის მიუღწეველია, მაგრამ მიუხედავად ამისა, საჭიროა სწრაფვა მისკენ, რამდენადაც, პრინციპში, ასეთი ლოცვა შესაძლებელია. თუმცა, თუ ადამიანი მთლიანად ვერ აღის მსგავს დონეზე, ამისათვის აუცილებელი შთაგონების ნაპერწკლებს თავის სულში დროდადრო მაინც ამჩნევს ყოველი, რომელიც ლოცვის დეტალებში თვითშერწყმის უმაღლეს ხარისხს აღწევს: კურთხევაში, ჰიმიში, ცალკეულ სიტყვებში, — რომლებიც ამ მომენტში თავიანთ იდეალურ განხორციელებას იძენენ.

თუმცა, ლოცვაში ასეთი დონის მიღწევა — სრულად ან ნაწილობრივ, შეუძლებელია შესაბამისი მომზადების გარეშე. ამ მომზადებას, მიმდინარეობს იგი ლოცვის წინ თუ ლოცვის დროს, „სამლოცველო შრომა“ ჰქვია. ებრაულ სიტყვას — ავოლა — „მუშაობა“, „შრომა“ — საერთო ფესვი აქვს სიტყვასთან იბუდ — სიტყვასიტყვით „დაბუშავება“, „გამოყვანა“. ამრიგად, შრომა — აგრეთვე რაიმეს გადაყვანა სხვაგვარ, უფრო მაღალ ხარისხში. თვითონ პროცესი „სამლოცველო შრომისა“ არ წარმოადგენს მიზანს, მაგრამ იგი ადამიანს სწორ გზაზე აყენებს, პარმონიას ამყარებს სულსა და წარმოთქმულ სიტყვებს შორის, იმიტომ, რომ თუ გამოვიცხავთ ზემოდან ბოძებულ გასხივოსნების მომენტებს, ერთადერთი სწორი მიდგომა ლოცვისადმი სწორედ შრომაა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მძიმე შრომა, რომელიც მოითხოვს ბრძოლას, სულიერ და ფიზიკურ დაძაბულობას, შრომა ყველა იმ პრობლემის გადასაჭრელად, რაც დაკავშირებულია შთანხმონებასთან სამლოცველო განწყობილებასა და მლოცველის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს შორის, ლოცვის არსსა და მის საზრისს შორის!

ქვემოთ მოტანილია რამდენიმე ძირითადი დებულება, რომელზეც უნდა გაითვალისწინოს თითოეულმა ადამიანმა, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს „სამლოცველო შრომის“ გზაზე.

იმისათვის, რათა მიაღწიოს აუცილებელ კონცენტრირებას, ადამიანს უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეგებოდეს წარმოთქმული სიტყვების აზრი, — თუნდაც ძალიან ზოგადად, და გაიაზროს ლოცვის ძირითადი თემები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაერკვევა სიტყვების მნიშვნელობაში, იგი შეიძლება ჩაწვედეს იმას, რაც მათ უკან დგას.

„სიტყვების აზრი“ — მრავალპლანინი ცნებაა (ხასიდიზმის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ღრმა წიგნი, რომელიც ლოცვანის ტექსტების კომენტარებს წარმოადგენს, არის „ფერუშ ჰა-მილი“ — „სიტყვების აზრის ახსნა“), თუმცა, მისი ყველაზე მარტივი მნიშვნელობა — ყოველი წარმოთქმული ან წაკითხული სიტყვის პირდაპირი, ზუსტი აზრია. და თუ ადამიანს არ ესმის ის ენა, რომელზეც ლოცულობს, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ სიტყვა იმოქმედებს მის სულზე და მისცემს დამატებით მოტივაციას იმისათვის, რათა უფრო მაღალ სულიერ დონეს მიაღწიოს.

თუმცა ადრეულ თაობებში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ლოცვის სიტყვების აზრის მცირეოდენი გაგების გარეშეც კი უმაღლეს ადმაფერენას აღწევდნენ. მათ ესმოდათ სიტყვები, ბგერათა შეთანხმება, რაღაც გაეგებოდათ, დაე არცთუ სწორად, მაგრამ ამის წყალობით მაინც აღწევდნენ რელიგიურ ექსტაზს. მიუხედავად იმისა, რომ გულწრფელობისა და უმეცრების ასეთი შეთანხმება — „ბებიათა რწმენა“, ლუბავიჩელი რბებს სიტყვებით — როდესაც გონებას არ შეუძლია გაგება, მაგრამ სული გრძნობს, — არ წარმოადგენს მისაბამ მაგალითს, ჩვენთვის იგი აღარც არის დამახასიათებელი. კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ებრაული სამყარო გამოეთხოვა ძამაძებ გულწრფელობას და ჭეშმარიტ კონცენტრირებას ლოცვის დროს მხოლოდ მამინ შეგვიძლია მივალწიოთ, როდესაც გაგვეცხება წარმოთქმული სიტყვების აზრი.

ტექსტის აზრის უბრალოდ გაგების პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძალიან ნათელია — ის ხომ პირდაპირ წერია: იმას კი, რაც იციან (ან თვლიან, რომ იციან), არ სწავლობენ. ვინაიდან ლოცვანის ტექსტები თითოეული სათვის ბავშვობის წლებიდანაა ცნობილი, იგულისხმება, რომ მომავალში ისინი არ გახდებიან შესწავლის საგანი. და თუ ადამიანმა რაიმე ვერ გაიგო ბავშვობაში, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ვეღარასოდეს ვერ გაიგებს; იმიტომეხერ რა ერთიდაიგივე სიტყვებს მრავალი წლის განმავლობაში, ვეღარ ამჩნევენ, რომ ისინი გაუგებარი არიან.

ის, ვინც გადალახა ეს წინააღმდეგობა და ძალისხმევით შედეგად გაერკვა წარმოთქმული სიტყვების აზრში, ახალ ამოცანას აწყდება. ლოცვანში დაწერილის გაგება, ენის დეტალებში გარკვევა და სიტყვების ახალ აზრში ჩაწვდომა, ცნებების შინაგანი კავშირებისა და გამონათქვამების შესწავლის შეცნობა — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლოცვას. და თუ ლოცვის დროს ადამიანი დაიწყებს იმ ტექსტების კვლევას, რისგანაც ლოცვა შედგება, იგი არა მხოლოდ ლოცვის გარეთ აღმოჩნდება, ბევრად უფრო სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება. არსებობდა, ლოცვისას ადამიანი უზუნაესს მიმართავს; მამინაც კი, ვინმე თავის ტოლთან რომ საუბრობდეს, მას აზრადაც არ მოუვა იმ სიტყვების ანალიზი, რომლებსაც წარმოთქვამს. მით უმეტეს საჭიროა ამისაგან თავის შეკავება სამყაროს მბრძანებელთან საუბრისას.

*თარგმანი იურ თოფჩაშვილი-გივიტიშვილისა (დასწრისი ის მე-7 ნომერი) (დასასრული იქნება)*

საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობა

ულპანი ხაი!

– ქნი ლარისა, თუ შეიძლება, გაიხსენოთ ულპანის განვლილი გზა, როგორ იწყებდა იგი მუშაობას?

– პირველ რიგში, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ყოველი იუბილე არის ჩვენი მიერ ჩატარებული შრომის შემაჯავებელი. ეს, ასე ვთქვათ, განვლილი ანგარიში საკუთარ თავთან. თუ რა გააკეთე, რას მიღწეე. ამის დასტური კი ჩვენი სტუდენტების მადლიერება განვლილი. ისინი არ იყვნენ ისრაელის მოქალაქეები, თუმცა, ულპანში გარკვეული ცოდნისა და ისრაელში რეპატრაციის მერე ჩვენ არაერთი მადლობის წერილი მიგვიღია და ახლაც ვიღებთ.

რა თქმა უნდა, ულპანი, თავისთავად არ აღმოცენებულა. სწორედ ახლა ჩვენ ავნიშნავთ მისი მუშაობის თითქმის 20 წელს. თუმცა, 20 წელი ჯერ არ შეგვსრულებია, ამიტომ ჩვენი ღონისძიების სათაური „ხაი+“ ანუ „18+“ იქნება.

მიუხედავად სირთულეებისა და მრავალი დაბრკოლებისა, რომელსაც ბოლო პერიოდში გადავაწყდით, ჩვენ შევძელით ამ ყველაფრის გადალახვა.

– როდის, როგორ დაიწყო?

– ყველაფერი 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როდესაც თბილისში ჯერ კიდევ არ იყო ისრაელის საელჩო, არც „სონ-ნუთი“. ამ დროს იყო ასეთი ორგანიზაცია „დერეხ იუჰუდი“, რომლის სათავეშიც ვლადიმერ (ვოვა) ფინჩაძე იდგა. მან გახსნა ებრაელის შემსწავლელი კურსები. მე მაშინ ახალი ჩამოსული ვახლდით ისრაელიდან, საიდანაც ჩამოტანილი მქონდა სულ ორად-ორი სახელმძღვანელო. დავიწყე ჩემი ებრაული ენის შესწავლა. შემდეგ შემომიერთდნენ თანამშრომლები აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტიდან, რომელშიც მე მაშინ ვმუშაობდი. ვსწავლობდი, ნელ-ნელა ვეუფლებოდი ენას. როდესაც ვოვამ გაიგო, რომ ჩვენ უკვე გარკვეული წარმოდგენა გვქონდა ებრაულ ენაზე. შეიძლება ითქვას, ვოვამ გვაიძულა დაგვეყოფო ამ ენის სწავლება. ასე და ამგვარად ვსწავლობდით ჩვენ თვითონ და სხვებსაც კუზხარებით ჩვენ ცოდნას. ენის შემსწავლელ მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. ჩვენ გვიწვევდა უკვე ახალი პრედაგოგების მოძიება, რათა ამ ნაკადს გაემკლავებოდით. ამ ყველაფერს ვიწყებდით – ვოვა ფინჩაძის მეშვეობით – ბელა ფინჩაძე, ტომა ფრადკინა, დევიკო ხანანაშვილი და მე. შემდეგ უკვე შემოგვმატნენ ჩვენივე მოსწავლეები. ამ დროისათვის, ასე ვთქვათ, გაძლიერდით და როდესაც საქართველოში „სონ-ნუთი“ გაიხსნა და დაიწყო მუშაობა, ბაზა უკვე მომზადებული ვახლდა.

– ვინ იყო ულპანის გახსნის ინიციატორი?

– ულპანის გახსნის ინიციატორი ქნი ლია კრიხელი ვახლდა. ეს იერუსალიმის ერთ-ერთი სემინარიიდან ჩვენი დაბრუნების შემდეგ მოხდა. „სონ-ნუთი“ მხარი დაუჭირა მის წინადადებას, თუმცა მაშინ ჩვენ არ გვქონდა დაწესებულებაც კი. სხვათაშორის სწორედ თქვენი გაზიარების რედაქტორმა გურამ ბათაშვილმა მსახიობის სახლში ერთი კლასი გამოგვიყვო. თუმცა, როგორც უკვე გითხარით ენის სწავლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა და ჩვენ ფიზიკურად ვერ ვეტყოდით ამ ოთახში, ამიტომ გადავინაცვლეთ მუზეუმში, სადაც ბნი შალვა წიწუაშვილის დახმარებით ჩვენ ორი თუ სამი ოთახი გამოგვიყვს, ამის მერე იყო 66-ე საშუალო სკოლა, შემდეგ 43-ე სკოლა.

ჩვენ გაფართოვდით, როგორც მოსწავლეების ხარჯზე, ასევე შეგვემატა ახალი საგნები. ვასწავლიდით აუდიო, ვიდეოკასეტებით, ზოგჯერ ამ ჩანაწერებს მოსწავლეებთან სახლში ვეცნობოდით. გაფართოვდით, შევიძინეთ დაფები, ცარცი, მეტადინობისათვის ყველა საჭირო ატრინუტი. ჩვენი, ასე ვთქვათ ბოლო მისაღვლი კი „სონ-ნუთი“ გახდა.

ჩვენ ხშირად ემონაწილეობდით სემინარებში. ზოგჯერ ასეთ სემინარებზე ჩვენი მოსწავლეებიც მიგვყავდა.

სხვათაშორის, ყოველთვის გამოგვარჩევდნენ სხვა ქვეყნების ულპანებისგან, ტექნიკურადც და ასევე პედაგოგთა პროფესიონალიზმით. აღბათ, ჩვენი წარმატება შრომისმოყვარეობამ და ჩვენი საქმისადმი დიდმა სიყვარულმა განაპირობა და როდესაც დადგა საკითხი ულპანის დახურვის თაობაზე, შემცირებზე და ა.შ. არც ერთმა პედაგოგმა არ თქვა უარი საშუალოზე ამ რთული პირობების გამოც კი.

ჩვენ გაუუძელით და გაუემკლავდით ამ პრობლემებს და ვაგრძელებთ ჩვენ საშუაოს. რა თქმა უნდა, მოსწავლეთა რიცხვმა გასულ წლებთან შედარებით იკლო, თუმცა, ჩემი პირადი



ამ დღეებში „სონ-ნუთის“ საქართველოს წარმომადგენლობამ აღნიშნა ულპანის 18 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით „მენორას“ კორმსკონდენტი შეხვდა ულპანის ღირებუტორს ქნი ლარისა ნამთალაშვილს.

აზრია, რომ სანამ აქ ერთი ებრაული მაინც იცხოვრებს, ულპანმა უნდა იარსებოს. სიმბა (ოფირი):

– ულპანს 18 წელი შეუსრულდა როგორც მოგეხსენებათ, უფრო სწორად კი 18 წელს ოდნავ გადასცდა მისი მუშაობა. ამიტომაც „სონ-ნუთი“ გადაწყვიტა ამ დღის აღნიშვნა.

ჩვენ გვინდა დავანახოთ ხალხს ულპანის განვლილი გზა, მისი შემოქმედებითი წლები. თუ როგორ დაიწყო. რა ეტაპები გაიარა და როგორ აგრძელებს დღემდე მუშაობას.

მოგეხსენებათ, არაერთი ულპანის კურსდამთავრებული წავიდა ისრაელში და ულპანის დამსახურებით საკმაოდ გაუადვილა საკუთარ თავს რეპატრაციის რთული პერიოდი. დღემდე მოდის მთვან წერილები, რომლებშიც დიდი სითბო და მადლიერება არის გამოცხადებული.

აი, ამ ყველაფრის ჩვენება გვსურს, რათა მოვიზიდოთ ახალ-გაზრდები. მოგეხსენებათ, ჩვენთან არაერთი საინტერესო ახალგაზრდული პროექტი მოქმედებს. ჩვენ ასევე შევცდებით მოვიზიდოთ თანხები პროექტების განსახორციელებლად.

ეს ჩვენი თვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, რადგან, არც ისე დიდი ხნის წინ დავიწყეთ თბილისში მუშაობა და დიდი სურვილი გვაქვს ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგეს ჩვენი საქმიანობა.

2 მაისს „სონ-ნუთი“ გაიმართა ულპანის იუბილე, მისი მოღვაწეობის 18+ დაბაბაბის დღე.

ამ დღის აღსანიშნავად ებრაული საზოგადოება, ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ებრაული ენის კლასები და კომპანები შეიკრიბნენ.

წლების მანძილზე სტენდზე გამოკრული ულპანის კურსდამთავრებულთა სურათები, მათ მიერ გამოგზავნილი არაერთი მადლობის წერილი, სანამოწმეო და თბილ ბარეშის უწყობა ხელს.

ებრაული სააბნტო ისრაელისათვის წარმომადგენელი საქართველოში

ბატონი ავი ოფირი:

– მოგესალმებით ყველას. როგორც იცით, ულპანს 18 წელი შეუსრულდა, პრინციპში ცოტა მატის. წინე კალიან ვამაქობთ ამ თარიღში და არა მარტო თარიღით, არამედ შედეგითაც.

დღეს მე ამ ვხელავ რამდენიმე აღამიანს, რომელიც ამ საქმის ოწყობაა. მსენი არიან იგივე მოქმე, ვალიკო პრინცილი და იაკობ ოფირი. კალიან ბავრი აღამიანი დღეს მაღლიერია ულპანის, რომელმაც შემხინა მათ გარკვეული ცოდნა ენის, კულტურის, ტრადიციების შესახებ.

ბოლო პერიოდში ულპანი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. თუმცა, ამის მიუხედავად, პრედაგოგებიც და მოსწავლეებიც ისევ აგრძელებენ მუშაობას და სწავლას.

მიწა მაღლობა გადავხსნათ და უშრეტელი შრომისთვის ყველა პრედაგოგს, რა თქმა უნდა, ლარისა ნამთალაშვილს, ღიანა აბარბოვას და ლინა შეხტიარს.

მიწა წარმატებები ვუსურვო ულპანს, მის კოლექტივს, კიდევ მრავალი წლის მანძილზე ემუშავათ ასე ნაყოფიერად.

ბ-მა ავი ოფირმა მშვენიერი თეიბულები გადასცა ულპანის კლასებში.

ქ-მა ლარისა ნამთალაშვილმა ულპანის შემხინის ისტორია, ბანვლილი გზა უამყო დასწავლა.

ქ-ნი შოშრა ბერბერტი:

– მოგესალმებით, კალიან შთამბეჭდავი იყო ეს ყველაფერი და ღირსშესანიშნავი ვარ ბ-ნი ოფირი, რომ ყოფილიყო, აუცილებლად გულისთავად მოგილოცავდათ ამ დღეს.

მართლაც მნიშვნელოვანია ის რასაც დღემდე აკეთებთ.

ბისურვებით წარმატებებს, წინსვლას და ენერგიას. ამირიკელ ებრაელთა გაერთიანებულ-გამავრცელებული კომიტეტის თბილისის „ჯიონის“ ოფისის ხელმძღვანელმა ზურაბ ღვინთაშვილმა სანამოწმეო გადასცა ულპანს.

მისალლოცი სიტყვებით გამოვიხსენე: იაკობ ოფირი, ვიქორ თოფჩიაშვილი-ბიბინიშვილი, სალომე ვილ-ჟანი, გურამ პაატაშვილი, ლინა ბეგრკვიჩი, ზაირა ღვინთაშვილი.

ულპანის მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები, იგაქვს.

ქ-მა ლარისამ სანამოწმეო ებრაული გაკვეთილის ჩაატარა. ნანჟნები იყო იერუსალიმისა და ისრაელის ისტორიული ადგილების ფოტო-კოლაჟი. ღვპ სამომსკიმ ჩაატარა ვიტორინა, რომლის გამარჯვებულსაც იერუსალიმის ბამოსახულებიანი სუპენირები გადაეცათ. საღამოს დასასრულს კი სტუმრებს ფალაშვლით, პიტითა და ხუშხით გაუმასხინებლენ.

საღამო მართლაც შესანიშნავი გამოდგა.



მოამზადა ლილია ხომენკო

რეკლია

ტყუილი, ტყუილი, ტყუილი!

სპორტული რადიოს ხელმძღვანელმა ვ. ხუხაშვილმა იმეგარი წარდგენისათვის ბრძოლა, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, იმით დაიწყო, რომ „მენორას“ და მის რედაქტორზე ავრცელებდა დეზინფორმაციას: მსოფლიოს ებრაულ ორგანიზაციებს, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს აუწყებდა „მენორა“ ებრაული თემის გაზეთი არ არის, მის ცხოვრებას არ ასახავს, არც მისი რედაქტორია ისეთი, როგორც თქვენ გგონიათ, საერთაშორისო თავყრილობებზე ის კი არ მიიწვიოთ, ჩვენ ვიკარნახებთ თქვენი ღირსი ვინ არისო.

ახლა რა ხდება?

ხსენებული გზით, სხვაზე დეზინფორმაციის გავრცელებით, რომ ვერაფერს მიღწია, რომ არავინ გაუგონა, საკუთარ თავზე ავრცელებს დეზინფორმაციას:

**ტყუილი №1:** აპრილს „მედის“ ტელეეთერში, დილის 11 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში მაყურებელს წარუდგა, როგორც „საქართველოს ებრაული სათვისტომოს ხელმძღვანელი“.

**ტყუილი №2:** იერუსალიმის ჯვრის მონასტერში სულმნათი შოთა რუსთაველის ფრესკა ხელყოფილი იქნა არა 2005 წელს, როგორც მან სატელევიზიო ეთერში განაცხადა, არამედ 2004 წელს—საქართველოს პრეზიდენტის ისრაელში ოფიციალური ვიზიტის წინ.

**ტყუილი №3:** ხუხაშვილმა მაყურებელს ისიც აუწყა, რომ იერუსალიმის შ. რუსთაველის ბარელიეფის (იგი ცნობილია ქველოქქედმა ბადრი პატარკაციშვილმა დადგა 2006წ.) ხელყოფის გამო ისრაელში ქართველ ებრაელთა მიტინგები გაიმართებოდა (უყვარს მიტინგობა, მისი მიტინგებია აკლია ისრაელს!). მიტინგი არ გამართულა.

მიტინგები და ენის ქავილი კი არ არის საჭირო და ამით ისრაელის ხელისუფლების

ბოსტანში კენჭების სროლა, მომხდარის არსში წვდომა, კანდალური აქტის მიზების პოვნა.

**ჯ. ხუხაშვილი დეზინფორმაციას ავრცელებს: იგი საქართველოს ებრაული სათვისტომოს ხელმძღვანელი ატვ არასდროს ყოფილა, ატვ დღეს არის. ასეთი სტრუქტურა საქართველოს ებრაელობაში არ არსებობს,** მღიერ სწავია „ნაჩლინკობა“—როგორც ჩანს, „მენორას“ რედაქტორის წინააღმდეგ სწორედ ამ მიზნით წამოიწყო ბინძური ბრძოლა, მაგრამ მისი მიღწევის მეთოდები—სხვათა ღირსების დაკნინება სათვისტომოს ხელმძღვანელობისაკენ მიმავალი გზა არ არის. როცა სამისო დრო დადგება, როცა საქართველოში მცხოვრები ებრაელობა ასეთ სტრუქტურას ჩამოაყალიბებს, იგი უსათუოდ მონახავს ღირსეულ პიროვნებას, რომელიც სხვათა დაკნინებით არ ცდილა საქართველოს ებრაელობის ხელმძღვანელობას.

ფერ-უხ კოხობაშვილი თანაგრძობას უცნალებს მალხაზ ხანიკაშვილს დედის გარდაცვალების გამო

# აიექა?

სიტყვა ჯიბაღ აჯიბჰილის ჰოეზიაზე

დიდი სიტყვა ჯემაღ აჯიბჰილის ჰოეზიაზე დიდი ხანა ითქვა. მესიტყვე-თავაკაცი ბატონი გრიგოლ აბაშიძეა. პირველად მაშინ - სამოცდაათიანი წლების ბოლოს; და მერეც, როცა სხვაც ბევრი ითქვა და დაიწერა; დღესაც, და მუდამ უკვე “დამნაშავე” ბატონი გრიგოლია. გრიგოლია იმ სიტყვაში - დინჯი, მშვიდი, მაგრამ გრიგალი: აჯიბჰილი რუსთაველს შეადარა - ეფონიითო. ჟღერადობა კი მთავარია, ან/და ასე - მი/ავარია. როცა ლინგვისტური კატასტროფები ბგერწერაში ხდება, პოეზიაც მაშინ გვხვდება. ის შთაბეჭდილება, რაც გრიგოლ აბაშიძის დიდი თავისუფლების ნიშნადაც უნდა მივიღოთ, საერთო აზრიც აღმოჩნდა, მერე და მერე უფრო რო გადიდა, შედეგად, გამკვრივდა და გამყარდა.

ჯემაღ აჯიბჰილის ჰოეზიას ქართველი მკითხველი საკუთარი ანარეკლივით შეეზარდა; მის მეტაქართულში, მეტი ქართული დაინახა, რაღაც მარადიულქართული (გოეთეს მარადიულქართული), დედადგელი - მშობლიური და მყარი წილი. მისი ჰოეზია თითქოს და თითქმის ის ტექსტია, სადაც იციან თავისი დაბადების და ფეხის ადგმის ადგილი და კითხვაზე: სადა ხარ? - აიექა? პასუხობენ: აი აქა (ვარ). აიექა პირველი კითხვაა, რომელიც სამყაროში განმინდა, ანდა: “დაუქანა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: სადა ხარ?” ეს სიტყვამა დღემდე ადამიანის ყოფნის ადგილის გარკვევისაკენ რომ ისწრაფვის, სწრაფადვე გვარწმუნებს, რომ სწრაფადვე რჩება და ამდენად ადამიანის უადგილობისა და გაუარკვევლობის მუდმივობით, მუდმივი კატასტროფისა და ავარიული მდგომარეობის არესაც აღნიშნავს. ამ არემარემი მოხეტიალე მუდამ უკვე პოეტია; ის სიცოცხლის ხესთან - მთავარ ადგილთან განშორების განცდას ინახავს და სხვა ხეებს იქ ნახავს - ენაში.

ჯემაღ აჯიბჰილის ჰოეზია ადგილის ძიება მგონია - ენის ტერიტორიის გაფართოება; აქ ეგულება მას სხვა მიწები, კიდევ სხვა ცა და სხვა ცა. აჯიბჰილისიუელ ცაზე და მიწაზე ხეც არის და ავტორიაც (ცენტრიც და დეცენტრაციაც), - მთავარიც და ავარიაც... რაც მი/ავარია. აჯიბჰილის გახმევებული სახელები თავის “თავდაპირ-

ველს” ქმნიან, სხვა ადგილს, და ეს ადგილი ენის გარეთ, ქართული ენის იქით არ გადის... მაგრამ არც გაეჭვება, რომ იქით არაფერია; თითქოს მუდამ რაღაც არის სახელის იქით; და ისე - მაგრამ: ის აქეთურზე - ენის ყოფაქცევაზეა პასუხისმგებელი. იქნებ ესეც ყოფნის პოეტს და ჩვენც, ვინც მისი ლინგვისტური ჰიბრიდებით ვიბრიდებით. - იქითური? - მკითხველს (მყიდველს) გააჩნია, იმას ვისაც ენა ეცოტავა, მის სამსხვერპლოს გადაურჩა, - იურჩა... აჯიბჰილისიუელი ნიშნითმეოქმედება - ნეოლოგიზმები - არსებულს არ აღნიშნავენ, აღნიშნებით აარსებენ და აარსებენ ენის სტრუქტურას. ენის არტისტობა - ეს ერთგვარი მაღალი მოდაა, პოდიუმის ენაა - ერთგვრადი აქცია; აქ ერთხელ გამოსასვლელად იმოსებიან და შიშვლდებიან სიტყვები. ამ სც/ენაზე უცხოვრდ სჩანს ნალაპარაკები სიტყვა - ყოველ-დღიურობით დაღლილი და დაქანცული, მაგრამ... თუ ამბავს არსებობს, მაშინ ეს უცხო საუცხოოდ ჩნდება; და სხვაც: თუ სათქმელის სიჯიუტე ენას უტევს - რასაც ენა ვეღარ იტევს, ის შეიძლება გადმოიღვაროს, დაამთავროს ერთი საქმე, ის, რომ რაღაც უნდა ახსნას - განმარტოს... განმარტოვდეს და ახსნას ენა - აუშვას. სწორედ ეს აშვებაა შევას რომ ჰგვრის პოეტსაც და მკითხველსაც. აჯიბჰილიში ორივეა; მაგრამ დღეს, ხშირად აუხსნელი ახსნილობის დროში, მას კბლით უჭირავს კულტურა - სერიოზული “უჭირავს”, თან თამაშობს. მისი სტიქია ენასთან შეთანხმებაა, - სინამდვილის გადაწყობა. ის ხელახლა აწყობს - ამონტაჟებს ენას, ისე, როგორც ენას აწყობს - ენას უნდა. აჯიბჰილი ამწყობს პოეტს და ამ წყობის პოეტია. მისი გახმევებული სახეები ქსოვენ იმ ერთიან ბაღს, რომელშიც ექცევიან ჟანრულად და მენტალურად სრულიად განსხვავებული ტექსტები - ხან სირთულეს კარგავენ, ხან რთულდებიან, მაგრამ განურჩევლად ქართულდებიან, ენის გრავიტაციის ემორჩილებიან. პოეტიც ფრთხილი სითამამით შედის ამ ველში და სიტყვა გამოაქვს. მისი ნეოლოგიზმები ცდილობენ დაეკავარწმუნონ, რომ ამ ენაზე ვლაპარაკობდით უხსოვარ დროში. სწორედ ამიტომ მისი თარგმანები მისივე ჰოეზიაა და მისი ჰოეზია მისივე თარგმანების თარგმისაა. აჯიბჰილი

იმთავად პოეტია და ეს იმთავობა მუდამ ახლა ხდება და ახლად ხდება. ერთ ენაში მოხელთებული სამყაროს სხვა ენაში გადატანა - დეკონსტრუქცია - თარგმანი აჯიბჰილი-პოეტთან საზოგადოდან კერძოში გადავიდა; სხვათა განმარტებიდან განმარტობად გადაიქცა; ინტერპრეტაციიდან და რეცეფციიდან კონცეფციად ჩამოყალიბდა. პოეტმა პოეზია / თარგმანი გაერთიანა და გაყო. ჯერ თარგმანში გაყო თავი, თარგმანს ამოეფარა, დამალვით გამოჩნდა; ან ასე: გამოჩენისთანავე დაემალა მკითხველს თარგმანებს შორის, ისე როგორც “... დაემალნენ უფალ ღმერთს ადამი და თავის ცოლი ბალის ხეებს შორის”. აიექა? - კითხულობ და პასუხია - აი აქა, მაგრამ არასდროს აქ არ არის, რომელიმე ტექსტშია, სიტყვის ქორწილშია - მაყრიონში, ანდა ენის მალაროში - აი იქა. იქანცება, მაგრამ ენის თავება ჟონვას ყველგან მიჰყვება, და მერე - ოდესმე - ამ ოდისეას ვკაცყვება; მერე სამალაგებს იცვლის, ამიტომაც ვეღარ იცვლის... სულ როლშია... სულ სვლაშია, მოთხავს თუ ფორთხავს სულ გარეთ არის, სულ წასულია; სულწასულია - აკრძალულ ნაყოფს ეტანება და მერე, უკვე დამნაშავეს, სამალავისკენ უჭირავს თვალი - ღამისკენ, ენა კი წინ უსწრებს - მუქიდან მუქისკენ; ჩაბნელებული დარბაზიდან განათებული სცენისკენ - ეს არის მისი ვალი. მთარგმნელის ტვირთი და სახელი აიკიდა და... აი, კიდევ: რაც მთავარია თავად გაიძევა თავი ღამეში. შუა საუკუნეების ესპანეთში მცხოვრები დიდი ებრაელი პოეტებივით ხმა(ლ)ამოღებული იბრძვის; დღისით იქ არის საქვეწმითი საქმეში, ღამით აქ - მე-ში. აიექა? - ღამით ისმის. ის, მის სამალავში ისმის და იქიდანვე ეხმინება - რომელიმე გათავისებული როლიდან (აქ შ. გებირილიდან): “პოი, სით მოდის გულთამხილავო, სით მოიქცევა ძახილი ესე!”

ჯემაღ აჯიბჰილის ჰოეზიაც ჩვენს სადასურბას კითხულობს. შევეხმიანოთ, ჩვენც მოვიკითხოთ, გავთამაშოთ ჯემალობანა: ჯემაღ, აიექა? (და მერე სტერეოა): აი აქა... აი აქა... აი აქა...  
**შოთა ბოლტანაშვილი**  
**„ჩვენი მწერლობა“ №9**

## ბარაკ ობამას საპასუხო წერილი

„მერთა“-ს წინა ნომერში დაიბეჭდა მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტის დია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამასადმი. მსოფლიოს ებრაული კონგრესის ინფორმაციით, ბარაკ ობამამ საპასუხო წერილი გაუგზავნა აშშ-ს ძირითადი ებრაული ორგანიზაციების კონფედერაციის (ეს ის ორგანიზაცია გახლავთ, რომელმაც შარშანწინ თბილისში ოთხდღიანი კონფერენცია გამართა) პრეზიდენტს ალან სოლოუს. ბარაკ ობამა წერილში ცდილობს შეარბილოს ახლოაღმოსავლეთის აშშ-ს პოლიტიკის გამო ებრაულ საზოგადოებას დაბაბული ურთიერთობა. სწორედ ამაზე იყო საუბარი რონალდ ლაუდერის წერილში.

საპასუხო წერილში პრეზიდენტი ბარაკ ობამა აღნიშნავს, რომ აშშ-ს ახლოაღმოსავლეთის პოლიტიკა არასწორად იქნა გაგებული. მიუღებელია იმაზე საუბარი, თითქოს აშშ ისრავლთან დისტანცირების პოლიტიკას ეწევა.

წერილში კონკრეტულად ნათქვამია: „ყოველმა მხარემ უნდა გაიგოს, რომ ისრაელის მიმართ ჩვენი ვალდებულებები ურყევია და ჩვენს შორის გამყოფი ხაზი არ იქნება“.

ევრ-აზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა ალ. მაშკევიჩმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „... დია წერილის პოზიტიური ნაყოფი თვალსაჩინოა: აშშ-ს მტკიცე პასუხი იმდენ გვინერვაგვს, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია ახლო აღმოსავლეთის კვანძის გახსნისას ისრაელს მეორეხარისხოვან ქვეყნად არ აქცევს.“

პრეზიდენტმა რონალდ ლაუდერმა კი ალ. მაშკევიჩს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც მადლობას მოახსენებს მხარდაჭერისათვის. წერილში ნათქვამია: „პრეზიდენტ ობამასადმი გაგზავნილი დია წერილი „კამინგტონ პოსტსა“ და „უოლ სტრიტ ჟურნალში“ დაბეჭდვით, წერილმა სოლიდარობის დიდი გამოხატვა გამოიწვია. ვლდებულობით მხარდაჭერ წერილებს როგორც ამერიკიდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნიდან, მადლობას გვიხდის, რადგან გამოვხატეთ მათი გულისტკივილი ისრაელში შექმნილი სიტუაციის გამო.“

## ებრაული სააგნბო გვაბყობინებს:

ობამას ადმინისტრაციამ „ყველაზე მკაცრი გამოთქმებით დაგმო“ სირიის „ჰეზბოლასათვის“ იარაღის მიწოდება და განაცხადა, რომ სირიის ასეთი ქმედება უარყოფითად იმოქმედებს ორმხრივი ურთიერთობის აღდგენაზე.

სირიის ყველაზე მაღალჩინოსანი დიპლომატი, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში იმყოფება - მისიის მეთაურის მოადგილე ზუხერი ჯაბური - მიწვეულ იქნა სახელმწიფო დეპარტამენტში იმისათვის, რომ განეხილათ სირიის პროლოკაციული ქმედება - „ჰეზბოლა“-სათვის იარაღის მიწოდება - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა გორდონ ლუგუიძმა 20 აპრილს. ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როდესაც ჩვენ ბოლო თვეების მანძილზე წამოვიყენეთ ეს საკითხი სირიის საელჩოსთან.

ლუგუიძის მიერ „ბოლო თვეების მანძილზე“ ნახსენები ოთხი ურთიერთქმედების შემთხვევა მიგვანიშნებს იმაზე, რომ აშშ შემოთვალა ამ პრობლემის გამო, ჯერ კიდევ ისრაელის მიერ გაკეთებულ განცხადებამდე.

„მეერთბული შტატები გმობენ სირიის მიერ „ჰეზბოლასთვის“ ნებისმიერი სახით იარაღის მიწოდებას და განსაკუთრებით ბალისტიკური სისტემის რაკეტებს, ისეოს, როგორც არის სკადი - ნათქვამია განცხადებაში. ამ შეიარაღების მიწოდებას რეგიონზე მხოლოდ დისტაბილიზაციის ზემოქმედება შეიძლება მოჰყვეს და ისრაელის უსაფრთხოებას რეალური საფრთხე დაემუქროს. ასეთი ტიპის ესკალაციებს შეუძლიათ სირიის კვლავ მცდარ პოლიტიკამდე მივიყვანო, როგორც ეს წარსულში „ჰეზბოლას“ შეიარაღების დროს უკვე მოხდებოდა.“

ყველაფერთან ერთად სირიას სურს ამოღებულ იქნას ამერიკის მიერ შედგენილი ქვეყნების სიადან, რომლებიც ტერორიზმს უჭერენ მხარს. ეს ნაბიჯი კი სირიას საშუალებას მისცემს გააძლიეროს ვაჭრობა.

ლუგუიძმა ნათლად აჩვენა, რომ იარაღის მიწოდებამ შესაძლოა დამარხოს ეს შესაძლებლობები.

„სირია ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად მიიჩნევა, პირდაპირ არის დაკავშირებული მის მიერ ისეთი ორგანიზაციის მხარდაჭერასთან, როგორც „ჰეზბოლა““ - თქვა ლუგუიძმა.

\*\*\*

ისრაელელი ჯარისკაცი დაიჭრა მაშინ, როცა პალესტინის სოფელში ისრაელელი ახალმოსახლის შუქრის შეჩერებას ცდილობდა.

იცხარის დასავლეთ სანაპიროს დასახლების მაცხოვრე-

ბლები 20 აპრილს საღამოს ცდილობდნენ შეღწევის მადამში, სოფელში, რომელიც ნაბლუსიდან სამხრეთით მდებარეობს, თითქოს ახალშენის მშენებლობის 10-თვიანი გაყინვის პროტესტის ნიშნად.

ჯარისკაცები ამ რაიონში დახურული სამხედრო ზონისა და სოფელში ისრაელელების შუქრის თავიდან ასაცილებლად იყვნენ გამოგზავნილნი. დაახლოებით 100-მდე სხვა ებრაელი იცხარის მხრიდან მოვიდა და ისრაელელ ჯარისკაცებს ქვები დაუშინა, შემდეგ კი თავს დაესხნენ მათ.

ამ არეულობის დროს ისრაელელი ჯარისკაცი ბოთლით იქნა დაჭრილი, რომელიც მას სახეში ესროლეს. ხოლო სამხედრო ავტომობილის საბურავები დაჭრეს, - განაცხადა ისრაელის თავდაცვის არმიამ. ერთ-ერთი მუამბოზე სწორედ საბურავების დაჭრის გამო დააკავეს.

„ძალაობა და ისრაელის თავდაცვის ჯარისკაცებზე ხელის აწევა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა, განსაკუთრებით კი ისრაელის დამოუკიდებლობის აღნიშვნის დღეს, - წერია არმიის პრეს-მდივნის განცხადებაში. ეს დაუშვებელი და არანორმალური საქციელი ძალიან მკაცრად დაისჯება კანონით.“

\*\*\*

იელათის მიმართულებით ეგვიპტის სინაის ნახევარკუნძულიდან გაშვებული „კატაუმას“ ორი რაკეტა იორდანიაში ჩამოვარდა.

ერთმა რაკეტამ, რომელიც 22 აპრილს გამთენიისას იქნა გამოშვებული, პირდაპირ მიზნით გაანადგურა წითელი ზღვის აკაბას პორტში კონდინციონერების საწყობი. მეორე ჩამოვარდა წითელ ზღვაში - გამოაცხადა ისრაელის მე-10 არხმა.

ზოგიერთი მონაცემის თანახმად, ეს რაკეტები იორდანიაში ტერიტორიიდან იქნა გაშვებული.

ამ თავდასხმაზე არცერთ ორგანიზაციას არ აუღია პასუხისმგებლობა. ეგვიპტური თავდაცვის უწყებების წყაროები უარყოფენ, რომ რაკეტები იელათის მიმართულებით სინაიდან იყო გაშვებული - იტყობინება ეგვიპტური მედია.

ბოლოს, ტერორისტული თავდასხმა იელათზე 2007 წელს განხორციელდა, მაშინ თვითმკვლელობა - ტერორისტმა სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

უფრო ადრე, ამ თვეში, ისრაელელებს ჰქონდათ ბრძანება დაეტოვებინათ სინაი, იმის გამო, რომ დაზვერვის მონაცემების თანახმად, ტერორისტები ისრაელელი ტურისტების გატაცებას და მათ ღაზში გადაყვანას ეგგმავდნენ.

**თარგმან ლილია ხომენკო**

რას ვპიტიხ ულობი ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



პ რ ა

კვირის საკითხავი თავი „ბეჰარ“ იწყება ისრაელის მიწაზე მეშვიდე წლის კანონებით. თორა მოითხოვს, რომ ყოველ მეშვიდე წელს, ამ წელს შმიგას უწოდებენ, მიწა არ დაამუშაონ. ამას გარდა, მიწის ყოველი მეშვიდე წლის ყველა ნაყოფი ცხადდება უპაგრონოდ და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიირთვას ხილი და ბოსტნეული. ამ მცნების მოქმედება ეხება მხოლოდ ისრაელის მიწას. წიგნი „სეფერ ჰახინუხ“ გამოყოფს ამ მცნების სამ ძირითად მნიშვნელობას:

ჯერ ერთი, მან უნდა შეგვახსენოს, რომ გამჩენი სამყაროს ექვსი დღის განმავლობაში ქმნიდა და მეშვიდე დღეს დაისვენა (ანუ არაფერი შეუქმნია). ამიტომ ჩვენ ვაღიარებთ ვართ დავითავალით ექვსი სამუშაო წელი და მეშვიდე წელს დავისვენოთ, ისევე, როგორც ექვსი დღე ვმუშაობთ და მეშვიდე დღეს, შაბათს, ვისვენებთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიწა ნაყოფს თავისით არ გვაძლევს, მასაც და მის მფლობელსაც პაგრონი ჰყავთ მეცამდე და როცა ის მოითხოვს, ხალხმა უარი უნდა სთქვან მიწის მფლობელობაზე.

მეორეც, მეშვიდე წელთან დაკავშირებული მცნება

ადამიანს კარგ ჩვევებს უნერგავს. კერძოდ, ასწავლის გულუხვობას, რადგანაც გულუხვად ითვლება ის ადამიანი, ვინც ანგარეებს გარეშე გასცემს და არ ელის რაიმე გამორჩენას.

და, შესაშვ, ადამიანი, რომელიც მეშვიდე წელს გადაწყვეტს საკუთარი მამა-პაპის მიწა უპაგრონოდ გამოაცხადოს, ხარბი არასოდეს გახდება და ყოველთვის ექნება გამჩენის ხელშეწყობის იმედი.

და ნათქვამია თორაში: „თუ იცხვიო: რა უნდა მივირთვათ მეშვიდე წელს, თუ არ დავითვავთ არაფერს და არ ავიღებთ მოსავალს“ – (მაშ იცოდეთ) მე გამოგიგზავნით ჩემს კურთხევას მეექვსე წელს და აიღებთ სამი წლის მოსავალს... მეცხრე წლის მოსავლის აღებაზე ძველი მოსავლით გამოიყვებით.“ გასაგებია, მოში რაბინუსს, გამჩენმა ნუ ქნას, თავად რომ დაეწერა თორა, ამ მცნებას არავითარ შემთხვევაში არ დაწერდა. ეს მხოლოდ გამჩენის კარნახით მოხდა. გამჩენის გარდა ვის შეუძლია ამ მიცვის შესრულების შემთხვევაში ხალხისათვის სამი წლის სამყოფი მოსავლის აღების გარანტიის მიცემა. და, თუნდაც ერთი მცნება ან სიგყვა თორაში, გამჩენმა ნუ ქნას, ჭეშმარიტებას არ შეესაბამება, მაშინ სხვა რაიმეც უნდა დავაყენოთ ეჭვის ქვეშ.

არის კიდევ ამის მსგავსი მცნება. თორა გვაძინობს, რომ სამჯერ წელიწადში, ფესახის, შავუთისა და სუქოთის დღესასწაულებზე, ყველანი უნდა შევირიბონ იერუსალიმში. მაგრამ თუ პერიფერიებიდან ყველა ცენტრში შევირიბება, ამით ისარგებლებს მგერი და თავს დაგვესხმის. ჩვენ ხომ არა გვყავს გარშემო კეთილმოსურნენი. თორა კი გვაძინობს, რომ არავინ დაგვესხმის თავს. გასაგებია, რომ ასეთი სახის დაპირება შეუძლია მოგვეცეს მხოლოდ მან, ვის ხელშიცაა მეფეთა გულები.

ებრძალები ისრაელის მიწაზე ეგვიპტიდან გამოსვლის დღიდან ორმოცი წლის შემდეგ შევიდნენ. შვიდი წელი ისინი ამ ქვეყანაში მცხოვრებლებთან ომობდნენ, შვიდი წლის განმავლობაში თორმეტი გომს შორის ანაწილებდნენ მიწებს, ხოლო შემდგომი ექვსი წლის მანძილზე ამუშავებდნენ მიწას. ამგვარად, პირველი შმიგის წელი 2510 წელი იყო და ის შეესაბამებოდა ებრაელთა ისრაელის მიწაზე ცხოვრების 21-ე წელს. ამ წლიდან ხდება შემდგომი გათვლები.

ჩვენი ხალხის ისტორია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ მცნების შესრულება არასოდეს გამხდარა სასურსათო პრობლემების მიზეზი. მეორეს მხრივ, ბაბილონის

სამოცდაათ წლიანი განდევნა იყო სასჯელი იმისათვის, რომ სამოცდაათი წლის განმავლობაში (სამოცდაათჯერ) არ დაიცვეს შმიგისა და იოველის კანონები ებრაელთა ისრაელის მიწაზე 430 წლიანი ცხოვრების პერიოდში.

ჩვენს დროში ამ მცნებას იცავენ არა თორის კანონის მიხედვით, არამედ ჩვენი რაბების კანონის მიხედვით, რადგანაც ებრაელთა უმრავლესობა ისრაელის მიწის გარეთ ცხოვრობს. ათობით დასახლებაში იცავენ მეშვიდე წელთან დაკავშირებულ მცნებებს და გამჩენი მათ განსაკუთრებულად ეხმარება.

ამ თავში ორჯერაა ნახსენები: „ნუ განაწყენებთ ერთმანეთს“. პირველ შემთხვევაში ეს ეხება ვაჭრობაში მოცულების ცოდვას, ხოლო მეორეში – სიგყვით შეურაცხყოფის ცოდვას. რაგომაა ნახსენები სიგყვიერი შეურაცხყოფა ვაჭრობასთან დაკავშირებით? ეს იმისათვისაა, რომ ჩვენ არ ვიფიქროთ, თითქოს სიგყვიერი შეურაცხყოფა არაა ისეთი სერიოზული რამ, როგორც ფულადი ზარალი. რაბი იოხანანმა რაბი შიმონ ბარ იოხაის სახელით წარმოსთქვა: „სიგყვიერი შეურაცხყოფა ფულად ზარალზე უარესია, რამეთუ შეურაცხავია: „და გემინოდეს გამჩენის“ სიგყვიერი შეურაცხყოფაზე, ხოლო ფულის გამო წყენამე ეს არაა ნახსენები“.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჩვენ ვინმეს ვაწყენინებთ და შემდეგ თავს ვიმართლებთ: „მე ხომ სიმართლე ვუთხარი. ამრადაც არ მომსვლია მისი შეურაცხყოფა და განაწყენება“, გამჩენმა იცის შენი გულის ნაღები. ის დასჯის დამნაშავეს. ფულთან დაკავშირებული წყენის გამოსწორება კი ადვილად შეიძლება - ფულს დაუბრუნებ ადამიანს. შეურაცხყოფილი ადამიანის განცდების კომპენსაცია კი შეუძლებელია. ჩვენი ბრძენები შეურაცხყოფელ ადამიანს სისხლიმღვრულს ადარებენ. შინაურების შეურაცხყოფაც არ შეიძლება. რაბი ამბობდა: „ყოველთვის ერთი ცოლის განაწყენება, რადგანაც ის ადვილად ღმინდება და შეიძლება იგროს კიდევ“.

ამ თავში ასევე მოხსენებულია ებრაელისათვის პროცენგიანი ვალის მიცემის აკრძალვისა და გაჭირვების დახმარების ხელის გაწვდენის მცნებები. ის, ვინც ფულს პროცენგიით გასესხებს, მკვდრით ვერ აღდგება. ამდენად სერიოზულია ეს ცოდვა.

ის კი, ვინც სხვებს ეხმარება – და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსურად რთულ სიტუაციაში მყოფი ადამიანისათვის ხელის გამართვა, რათა ის არ „დაეცეს“, მეციდან ჯილდოს მიიღებს, რადგან ეს უდიდესი მიცემაა.

დავით იაკობაშვილის გამოსვლა

ებრაული სააგენტო გვატყობინებს:

ელი ვიზელი: ზანოლა ვერ ბადაწყვეტს იერუსალიმის პრობლემას!



ბასთან დაკავშირებით. მან არაერთხელ ასხენა ქვეყანაში, ასე ვთქვათ, „ტენის ინკუბატორის“ შექმნის აუცილებლობა, ახალ იდეებში ინვესტიციების ჩადება, რომლებიც შემდეგ განხორციელებადი და ბიზნესის საშუალებით განვითარებული გახდება. უამრავი ჩამოთვლილი პრობლემის მიუხედავად, მილიანობაში გამოსვლა პოზიტიური აღმოჩნდა – დ. იაკობაშვილმა არაერთხელ აღნიშნა, რომ მისი დამოკიდებულება რუსეთის ბიზნესში ამჟამინდელ მდგომარეობასთან მიმართებაში ოპტიმისტურია და სჯერა, რომ სიტუაცია აუცილებლად შეიძენს ცივილიზებული და ეფექტური განვითარების თვისებებს. დავით იაკობაშვილმა მნიშვნელოვანი აქცენტი თავის გამოსვლაში ბიზნესის ჰუმანიტარულ ასპექტებზე გააკეთა. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ სამეწარმეო საქმიანობა თავისთავად უნდა იწყვედეს ბიზნესმენებში დადებით ემოციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია ბიზნესმენმა შეიცვალოს მოღვაწეობის სფერო. დადებითი ემოციების გაძლიერების ერთ-ერთ ხერხად დ. იაკობაშვილმა ქველმოქმედება დაასახელა. მან დაბეჯითებით განაცხადა, რომ სხვებისთვის კარგის, სიკეთის კეთებით, საკუთარ თავს უკეთებ ამას. ამ ნაწილში მისი გამოსვლის ლეიტმოტივად შეიძლება გამოვარდინო ფრაზა: „იქარეთ აკეთოთ სიკეთე“. ბიზნესმენმა თავისი ოჯახის ისტორიაც გაიხსენა: აღმოჩნდა, რომ მეწარმეობისას დიდი ღვაწლი მან ოჯახისგან მიიღო.

22 აპრილს ვერ-აზნის ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, კომპანია „ვიმპ-ბილ-დენ“-ის დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე დავით იაკობაშვილი კლუბური საზოგადოების მორიგ შეხვედრაზე მთავარ გმირად წარსდგა.

სხდომის მთავარი სპიკერი არტისტულად წარმოადგინა ალექსანდრე ბორისოვი, მოსკოვის საერთაშორისო ბიზნეს-ასოციაციის გენერალურმა დირექტორმა. მან განსაკუთრებულად აღნიშნა შეხვედრის მთავარი გმირის ჩამოყალიბებული ხასიათი და მისი პიროვნული თვისებები. საკითხების წრე, რომელსაც დავით იაკობაშვილი თავის გამოსვლაში შეეხო, ანონსირებულ საკითხზე ბევრად უფრო ფართო გამოდგა – „რეალური ბიზნესის პოზიციიდან“.

დავით მიხეილის-ძემ სხდომას გაუზიარა თავისი შეხედულებები რუსეთის პირობებში გლობალური ფინანსური კრიზისის თაობაზე. მათ შორის საკვები პროდუქტების წარმოებასთან შეფერადებით, სადაც მისი კომპანია ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს. მან დაწვრილებით ისაუბრა იმ სირთულეებზე, რომელსაც ევანება სამამულო მწარმოებელი, როგორც უფლებამოსილ სტრუქტურებთან, რომლებიც გარკვეული, ზოგჯერ ბიზნესის წარმოების საკმაოდ მკაცრ პირობებს ამკვიდრებენ. დ. იაკობაშვილმა თავისი აზრი გამოთქვა რუსეთში კვების პროდუქტებზე ფასების წარმოქმნის სპეციფიკასთან და სამომხმარებლო ბაზრის ფორმირე-

ელი ვიზელმა თქვა, რომ იერუსალიმის სტატუსი „ნაადრევად“ არ უნდა იქნეს განხილული.

ვიზელი, მსოფლიოში აღიარებული მწერალი, ადამიანი, რომელმაც პოლიტოლოგი გამოიარა, ნობელის პრემიის ლაურეატი, თავის განცხადებაში, 16 აპრილს ვაშეთ „ვამინგტონ პოსტ“-ში რეკლამის უფლებით რომ გამოქვეყნდა, ამბობს, რომ პოლიტიკური ზეწოლა სადავო ქალაქის სტატუსს ვერ გადაწყვეტს.

– ჩემთვის, ისეთი ებრაელისთვის როგორც ვარ, იერუსალიმი პოლიტიკაზე მალა დგას – წერია განცხადებაში. – იერუსალიმი 600-ჯერ არის მოხსენიებული ბიბლიაში – და არცერთხელ ყრანში.

ვიზელის განცხადება სათაურით „იერუსალიმისათვის“ გამოვიდა იმის მომდევნო დღეს, რაც მსოფლიო ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა რონალდ ლაუდერმა „ვამინგტონ პოსტ“-ში და „უოლ სტრიტ ჯორნალ“-ში გამოაქვეყნა აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამასადმი მიმართვა.

ისრაელისა და შერტებული შტატების ტრადიციული ურთიერთობები გაუარესდა მას მერე, რაც მარტში, რევიონში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ვიზიტის დროს ისრაელმა დაამტკიცა აღმოსავლეთ იერუსალიმში ებრაული სახლების შმენებლობა.

ელი ვიზელის განცხადებაში ნათქვამია: იერუსალიმის გამო ვნებების არსი უძრავი ქონება კი არა, ისტორიული მესხიერებაა. „მალომ ანშავ“-ის ხელმძღვანელმა ქალბატონმა დებორა დელიმ კი დაწერა:

– ისრაელსა და პალესტინელებს შორის იერუსალიმზე მოლაპარაკების გარეშე, შეუძლებელი იქნება ორი სახელწიფოს შექმნის გადაწყვეტილების რეალიზება. ხოლო თუკი შეუძლებელია ორი სახელმწიფოს შექმნის გადაწყვეტილების რეალიზება, ერთადერთი შესაძლებლობა იქნება ორეოვანი სახელმწიფო მდინარე იორდანესა და ხმელთაშუა ზღვას შორის, რომელიც არ იქნება არც ებრაული და არც დემოკრატიული, იქნება ქოტური წარმონაქმნი – ებრაელებსა და არაბებს შორის კონფლიქტის გამგრძელებელი.

თარგმნა ლიდა ზომენკო

# რაბინების და პრეზიდენტის მიმართ **ჩვენი თემისადმი**

Vav	Hay	Daled	Gimmel	Vet	Bet	Aleph
Final Chaf	Chaf	Kaf	Yud	Tet	Chet	Zayin
Ayin	Samech	Final Nun	Nun	Final Mem	Mem	Lamed
Resh	Kuf	Final Tsadee	Tsadee	Final Fay	Fay	Pay
Taf	Taf	Sin	Shin			

გაცნობებთ რომ, ყოველ კვირა დღეს 9:30 დან – 12:30 - მდე რებეცინ დებორა-ლეა ხენის ხელმძღვანელობით ტარდება 4-12 წლამდე ასაკის ბავშვების სწავლება შემდეგ განხრებით:

- \* ებრაული ენის გაკვეთილები, წერა-კითხვის შესწავლა
- \* ჩვენი ერის წმინდა დღეების მნიშვნელობა
- \* ჩვენი წინაპრების (წმინდა მამების და დედების) ბიოგრაფიები და მათი მოღვაწეობა

ყოველ ოთხშაბათს ჩვენი სალოცავის ქვედა დარბაზში, საღამოს 8 საათზე ინგლისურ ენაზე რებეცინ ირის ელიაშვილის მიერ ტარდება ლექცია-სწავლება შემდეგ თემებზე:

- \* თეილიმი
- \* ყოველკვირეული ფარაშების განხილვა ღრმა კაბალისტურ ფილოსოფიურ დონეზე
- \* მცნებების და კანონების შესწავლა




რაბი მორდეხაი აჯიაშვილი, ყოველკვირეულად ატარებს ლექციის სახით სწავლებას 25 წლის ასაკის ზევით მამაკაცებისათვის შემდეგ თემებზე:

- \* გემარა
- \* ყოველკვირეული ფარაშების შესწავლა
- \* მცნება-კანონების შესწავლა

რაბი მორდეხაი აჯიაშვილი, ბარმიცვის და ზევით ასაკის მოზარდებისათვის აწარმოებს გაკვეთილებს შემდეგი განხრით:

- \* ებრაული ენის წერა-კითხვის შესწავლა
- \* სეფერ-თორის მაღალ დონეზე წაკითხვა ორიგინალში
- \* თორის მცნება-კანონების შესწავლა



მრავალი წლების განმავლობაში ქ-ნი ლამარა ელიშაკოვას ხელმძღვანელობით ქალთა კომიტეტი განსაკუთრებული წარმატებით ატარებს თეილიმის კითხვას ყველა რომ-ყოფილის წინა დღეს.

პატივცემულო ჩვენს საყვარელო თემის წევრებო, მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რათა მიიღოთ აქტიური მონაწილეობა მთელი თქვენი ოჯახის წევრთა შემადგენლობით ზემოთაღნიშნულ ჩვენი ერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებში.



როგორც მოგესხენებათ ქ-ნი ლიზა ეფრემაშვილი მრავალი წლების განმავლობაში აწარმოებს უაღრესად კეთილშობილურ საქმეს - ჩვენი მომავალი თაობების ურთიერთგაცნობას, რომ შექმნან ბედნიერი ისრაელური ოჯახები.

ასევე ამ დიდებულ საქმეში ქ-ნი ლიზასთან ერთად ითანამშრომლებს ქ-ნი ნუნუ ფიჩხაძეც. მსურველებს გთხოვთ მიმართოთ ქ-ნი ლიზას ოთხშაბათს და ხუთშაბათს, ქ-ნი ნუნუს კი ორშაბათს და სამშაბათს საღამოს 5 დან 8 საათამდე სალოცავის ქვედა დარბაზში

დაფუძნებელი და გამომცემელი:  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11<sup>ა</sup>, ვახტანგ VI ქ. №30  
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია  
ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი  
გურამ ბათიაშვილი  
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557

